პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ''

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.დ" ქვეპუნქტის, 61- მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს**:**

მუხლი 1.დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დებულება თანახმად დანართისა.

მუხლი 2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს №31 დადგენილება ,,სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" (www.matsne.gov.ge 04/09/2014 სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.114.016212)

მუხლი 3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაალ მამალაძე**